

*ზურაბ ბერია*

*ფიზიკის ექსპერტი*

*სსიპ მასწავლებელთა პროფესიული*

*განვითარების ეროვნული ცენტრი*

*მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა*

*პროფესიული განვითარების პროექტი*

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა არის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მხრივ კონკრეტული საჭიროებების გამოსაკვეთად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და სხვა პროფესიულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს კვლევები, სადაც გამოიკვეთა ის მიმართულებები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ამ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმილია და უკვე ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები. ამავე მიზანს ემსახურება მასტერ-კლასი ფიზიკაში, რომელიც ჩატარდება ბათუმში.

მასტერ-კლასზე მსმენელები გაეცნობიან აქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდებს ფიზიკაში, გაიღრმავებენ ცოდნას როგორც მეთოდოლოგიური, ასევე საგნობრივი მიმართულებით იმ საკითხებში, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების ანალიზის მიხედვით ყველაზე პრობლემურია ფიზიკის პედაგოგებისთვის. ინტერაქტიული სამუშაო ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა მაქსიმალურ ჩართულობას. მონაწილე პედაგოგები მოსწავლის როლში გამოცდიან კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ასპექტებს, ამოცანებით სწავლების ხერხებს, პრაქტიკით სწავლების უპირატესობებს.

მასტერ-კლასი გამიზნულია საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი) მასწავლებლებისათვის.

მასტერ-კლასის ხანგრძლივობა 4 საათია და შედგება 2-საათიანი 2 სესიისგან.